ხელშეკრულება N 4
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ნინოწმინდა 5 იანვარი 2012 წ.

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ ნინოწმინდის №1 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ტიგრან პოღოსიანის სახით და მეორეს მხრივ, ს.ს.ი.ა. "მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის გია მამულაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, შემსყიდველის მიერ ჟურნალ "მასწავლებელი"-ს (შემდგომში „საქონელი") 2012 წლის სრული გამოცემის შესყიდვა 1 ეგზემპლარად მიმწოდებლისგან.

2. მხარეთა მოვალეობები

2.1. შემსყიდველი ვალდებულია:

2.1.1. გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

2.1.2. მიიღოს მიწოდებული საქონელი და გაუფორმოს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი შემსყიდველის წარმომადგენელთან;

2.1.3. შეამოწმოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი და ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს მიმწოდებელს;

2.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

2.2.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ნაკლის მქონე საქონლის შეცვლა.

2.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

2.3.1. შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად და შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი საქონლის ღირებულების ანაზღაურების შემდეგ მიაწოდოს შემსყიდველს შესაბამისი საქონელი;

2.3.2. თუკი საქონელი არ აღმოჩნდება უნაკლო, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ნაკლი საკუთარი ხარჯით;

2.3.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

2.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

2.4.1. შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესაბამისი გამოცემის ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში არ მიაწოდოს საქონელი, რაც არ გამოიწვევს შემსყიდველის პასუხიმგებლობას საქონლის მიუწოდებლობის ან დაგვიანებით მიწოდების გამო.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 12 (თორმეტი) ლარს.

3.2. ერთეულის ღირებულებაა: 2 (ორი) ლარი; 1 ნომრის წლიური ღირებულება - 12 (თორმეტი) ლარი.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორებისა წესი

4.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს მოთხოვნილი საქონლის ღირებულება საქონლის მიწოდებამდე.
4.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.
4.3 გადახდის ფორმა: უნაღდო.
4.4 საქონლის გადაცემის თარიღად ითვლება მხარეთა შორის მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის თარიღი.

5.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები და ადგილი

5.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, 2012 წლის 31 დეკემბრამდე რესურს ცენტრების მეშვეობით.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. ხელშეკრულების ინსპექტირება

7.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.
7.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლსა და ზედამხედველობას განახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი პირი.

8. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შესყიდვის საგანი ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც შემსყიდველის ან რესურს ცენტრის მიერ უფლებამოსილი პირები ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.
9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ, თუ:
9.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია საქონლის სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;
9.2.2. მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
9.2.3. შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
9.2.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა